საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტური თვითმმართველობის სარჩევნო დებულება

თავი I - ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების მიზანი

1. ეს დებულება ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-,,ბსუ") სტუდენტური თვითმმართველობის (შემდეგში **,,ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა")** არჩევნების მომზადებისა და ჩატარების წესს, არჩევნებში მონაწილე პირთა უფლებებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დავის განხილვის წესს.

2. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს - ფაკულტეტებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის ერთიანობას, რომელიც საქმიანობას წარმართავს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდებისა და შესაბამისი დებულების მიხედვით.

3. ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისაგან და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼ -ზე ნაკლები.

4. **სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლით.**

5. ბსუ-ს ფაკულტეტებზე ასარჩევი ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრების რაოდენობა არ უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 1/3-ზე ნაკლები. ზუსტ რაოდენობას, არჩევნებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე განსაზღვრავს თვითმართველობის პრეზიდენტი.

6. ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის და ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება არჩევნებში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

7. არჩევნებში მონაწილე კანდიდატები თუკი მოიპოვებენ თანაბარი რაოდენობის ხმებს, ყველა მათგანი გახდება ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი.

8. **სტუდენტს ავტომატურად უწყდება თვითმმართველობის წევრის სტატუსი:**

ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ (საგანმანთლებლო პროგრამის ვადის ამოწურვა, პირადი განცხადება და სხვა);

ბ) **6 თვეზე მეტი ვადით** შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა;

გ) ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტზე გადასვლის (მობილობის) შემთხვევაში.

9. **თვითმმართველობის არჩევნები ცხადდება თვითმმართველობის პრეზიდენტის განკარგულებით,** თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე ამ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობის შევსების საჭიროების შემთხვევაში, ასეთი მთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა.

10. ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ბსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს (ამომრჩეველი) ბსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურიდან, გარდა სტატუსშეჩერებული პირებისა.

11. არჩევნებში კანდიდატად შეიძლება დარეგისტრირდეს აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო სტუდენტი ან მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტი.

მუხლი 2. არჩევნების სამართლებრივი საფუძვლები

ბსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის (შემდეგში ,,თვითმმართველობა") არჩევნების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ", წინამდებარე დებულება და ამ დებულების ფარგლებში შექმნილი საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) არჩევნები – ბსუ-ის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს წევრთა არჩევის პროცესი;

ბ) საარჩევნო უფლება – აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება;

გ) აქტიური საარჩევნო უფლება – სტუდენტის უფლება მიიღოს მონაწილეობა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში;

დ) პასიური საარჩევნო უფლება – სტუდენტის უფლება, კენჭი იყაროს ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად;

ე) საარჩევნო რეგისტრაცია – შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ კანდიდატთა რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად;

ვ) საარჩევნო სუბიექტი – ამ დებულების საფუძველზე რეგისტრირებული კანდიდატი, აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო სტუდენტი ან მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტი.

ზ) საარჩევნო ადმინისტრაცია – ამ დებულების საფუძველზე შექმნილი ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიები;

თ) წინასაარჩევნო კამპანია – საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

ი) წინასაარჩევნო აგიტაცია – სტუდენტებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად;

კ) განმეორებითი კენჭისყრა – კენჭისყრა, რომელიც განმეორებით იმართება იმ საარჩევნო უბანში (უბნებში), რომელშიც (რომლებშიც) ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგი;

ლ) არჩევნების დასასრული – ცესკოს მიერ დამტკიცებული არჩევნების საბოლოო შედეგების (განმეორებითი კენჭისყრის ჩათვლით) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნება;

მ) არჩევნების დღე (კენჭისყრის დღე) – საერთო ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე;

ნ) საარჩევნო დოკუმენტაცია – საარჩევნო კომისიებში შესული და საარჩევნო კომისიებიდან გასული განცხადებები, საჩივრები, წერილები, საქმიანი ქაღალდები, ოქმები, საარჩევნო ბიულეტენები, სპეციალური კონვერტები, საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები, საკონტროლო ფურცლები, სარეგისტრაციო ჟურნალები, ამომრჩეველთა სიები და სხვა დოკუმენტაცია;

ო) სარეგისტრაციო ჟურნალი – წიგნი, რომლის ზონარიც ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერს საარჩევნო კომისიის მდივანი და დაესმევა საარჩევნო კომისიის ბეჭედი. მისი ყველა გვერდი დანომრილია;

პ) საბუთების შეფუთვა – საბუთების იმგვარად შეკვრა ან ყუთში ჩაწყობა, რომ შეკვრის (ყუთის) დალუქვის შემდეგ ლუქის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს შეკვრიდან (ყუთიდან) რაიმეს ამოღება ან მასში რაიმეს ჩადება;

ჟ) ლუქი – ქაღალდის ზოლი, დაწებებული საარჩევნო მოწყობილობის, საბუთების შესაფუთი ყუთის, საბუთების შეკვრის, სარეგისტრაციო ჟურნალის, კენჭისყრის დღის გახსნის ადგილებზე, რომელზეც აღინიშნება დალუქვის თარიღი და დრო და რომელსაც ხელს აწერენ ამ დებულებით განსაზღვრული პირები;

რ) საარჩევნო უბანი – კენჭისყრისა და ხმების დათვლისათვის გამოყოფილი ადგილი.

ს) ამომრჩეველი – ბსუ-ს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირი ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის საფეხურიდან, რომლის მონაცემებიც შეტანილია ამომრჩეველთა სიაში.

მუხლი 4. ამ დებულებით დადგენილი ვადების ათვლა

1. ამ დებულებით დადგენილი ყველა ვადა, მათ შორის, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე, გულისხმობს კალენდარულ დღეებს (საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით).

2. გამოთქმაში „არჩევნებიდან დღის ვადაში" ტერმინი „არჩევნებიდან" გულისხმობს დღეთა ათვლას არჩევნების დასასრულიდან.

3. გამოთქმები „მოცემული დღიდან დღეში", „მოცემული დღიდან დღის ვადაში", „მოცემული დღიდან არაუადრეს/არაუგვიანეს დღისა" გულისხმობს დღეთა ათვლას მითითებული დღის მომდევნო დღიდან.

4. გამოთქმები „მოცემულ დღემდე -- დღით ადრე", „მოცემულ დღემდე არაუადრეს/არაუგვიანეს N დღისა", გულისხმობს დღეთა ათვლას უკან, მითითებული დღის წინა დღიდან.

თავი II - ამომრჩეველთა რეგისტრაცია

მუხლი 5. ამომრჩეველთა ერთიანი სია და მისი ფორმირების წესი

1. ამომრჩეველთა ერთიანი სია არის ამ დებულებით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე სტუდენტთა სია, რომელიც წარმოდგენილია ფაკულტეტების და შესაბამისი საფეხურების მიხედვით.

2. ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) გვარი, სახელი;

ბ) ფაკულტეტი;

გ) საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამა/სპეციალობა, სასწავლო წელი;

დ) პირადი ნომერი;

3. ამომრჩეველთა სია სტუდენტურ თვითმმართველობას მიეწოდება შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, საფეხურების (ბაკალვრიატი/მაგისტრატურა) მიხედვით. მიწოდებული სია შეთანხმებული უნდა იყოს სტუდენტთა რეესტრის მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირთან (ვიზირება).

4. ცენტრალური საარჩევნო კომისია **(შემდგომში „ცესკო")** უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ერთიანი სიის კომპიუტერულ დამუშავებას, მის გადამოწმებას ბსუ-ს სტუდენტთა მონაცემების და მისი საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ნაწილის (გვარი, სახელი, ფაკულტეტი) უნივერსიტეტის საარჩევნო უბანზე განთავსებას.

5. საუბნო საარჩევნო კომისიას არაუგვიანეს მისი პირველი შეკრების დღისა გადაეცემა ცესკოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი ამომრჩეველთა ერთიანი დაზუსტებული სიის ორი (საარჩევნო კომისიისთვის და საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი) ეგზემპლარი. ამომრჩეველთა

სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნისთანავე უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

6. ცესკო და შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. არჩევნებამდე 3 დღით ადრე ცესკო ვალდებულია გამოაქვეყნოს ამომრჩეველთა სიები.

7. თუ სტუდენტის მონაცემები არ იქნება ან არასწორად იქნება დაფიქსირებული ამომჩეველთა სიაში, სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს ცესკოს სიაში შეყვანის ან ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის გასწორების მოთხოვნით. ცესკოს სტუდენტმა უნდა წარუდგინოს ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (შესაბამისი ფაკულტეტის, საგანმანთლებლო პროგრამის/სპეციალობისა და სწავლების წელის მითითებით) დეკანატიდან პირადობის მოწმობასთან ერთად.

8. სიებში ცვლილებების შეტანა უნდა შეწყდეს არჩევნებამდე 1 კალენდარული დღით ადრე.

თავი III - არჩევნების ძირითადი პრინციპები და საარჩევნო სისტემა

მუხლი 6. საარჩევნო უბნები

1. საარჩევნო უბანს წარმოადგენს კენჭისყრისა და ხმების დათვლისათვის გამოყოფილი ადგილი (ადგილები) ბსუ-ში.

2. უბანზე ხმის მიცემის უფლება აქ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტს.

3. ბსუ–ში არჩევნების ჩასატარებლად უბნები შეიძლება შეიქმნას ფაკულტეტების მიხედვით:

მუხლი 7. ხმის მიცემის სისტემა

თითოეული ამომრჩეველი (ფაკულტეტის შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტი) ხმას ამლევს 1 კანდიდატს (შესაბამისი ფაკულტეტის შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტს).

მუხლი 8. საარჩევნო სისტემა

ბსუ-ის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

თავი IV - საარჩევნო ადმინისტრაცია

მუხლი 10. საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი

1. საარჩევნო ადმინისტრაცია ა(მ დებულების საფუძველზე შექმნილი ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიები) წარმოადგენს ორგანოს, რომელიც ამ დებულებით განსაზღვრულ ფარგლებში უზრუნველყოფს თვითმართველობის არჩევნების ჩატარებას.

2. საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს ამ დებულების შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას. იგი უფლებამოსილების განხორციელებაში დამოუკიდებელია.

მუხლი 11. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა

1. ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება სტუდენტური თვითმართველობის საერთო კრებისა და სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.
2. ცესკო (ცენტრალურისაარჩევნო კომისია) შედგება 7 (შვიდი) წევრისაგან, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია არანაკლებ 7 წევრისაგან.

3. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 4 წევრს ნიშნავს საერთო კრება, ხოლო 3 წევრს თვითმართველობის პრეზიდენტი. **კომისიის შექმნის შესახებ საბოლოო აქტს (განკარგულებას) გამოსცემს თვითმმართველობის პრეზიდენტი.**
4. სტუდენტური თვითმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე არჩევნების ორგანიზება-ჩატარება შეიძლება უზრუნველყოს ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, **ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.**

მუხლი 12. საარჩევნო კომისიის შემადგენლობა, თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა და წევრთა უფლებამოსილება

1. საარჩევნო კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და სხვა წევრებისაგან.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევიან წევრობის უფლებამოსილების ვადით, კომისიის პირველსავე სხდომაზე, შესაბამისი საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით.
3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნის თანამდებობებზე კანდიდატებად განიხილებიან კომისიის შემდეგი წევრები:
   ა) ცენტრალური ან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად – კომისიის არანაკლებ 2 წევრის მიერ წამოყენებული კანდიდატურა;
   ბ) კომისიის მდივნის კანდიდატად – კომისიის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული კანდიდატურა;
4. ერთი და იმავე კანდიდატის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.
5. **ცესკოს თავმჯდომარე** საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც:
   ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს ცესკოში;
   ბ) უძღვება ცესკოს სხდომებს;
   გ) ამ დებულებისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დავალებას აძლევს კომისიის მდივანს და კომისიის სხვა წევრებსა;
   დ) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
6. **ცესკოს მდივანი** ასრულებს ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში:
   ა) ახარისხებს ცესკოში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;
   ბ) რეგისტრაციაში ატარებს კანდიდატებს;
   გ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის მიერ ცესკოში და საუბნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებლებს და გადასცემს მათ დამკვირვებლის მოწმობებს;
   დ) ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს;
   ე) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
7. საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია კომისიის წევრად დანიშვნის (არჩევის) დღიდან მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.
8. ცენტრალური და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ვალდებულნი არიან ხელი მოაწერონ კენჭისყრის ან არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ხოლო თუ კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლებამოსილია აღნიშნულის თაობაზე მიუთითოს ხელმოწერის გასწვრივ და განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს წერილობით.
9. საარჩევნო კომისიის წევრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ბსუ-ს წესდებას და ამ დებულებას. აკრძალულია საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით.

10. ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს ცესკო. ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის წარმდგენი სუბიექტის მიერ მისი გამოწვევისას (აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრამდე 3 დღით ადრე);

გ) არასაპატიო მიზეზით კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენის შემთხვევაში.

11. ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები და მდივნები თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდებიან ცესკოს განკარგულებით:

ა) ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის პირადი განცხადების საფუძველზე (განცხადება წარედგინება ცესკოს);

ბ) არასაპატიო მიზეზით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის უფლებამოსილების შეუსრულებლობის ან არასაპატიო მიზეზით საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენის შემთხვევაში.

12. თუ გადადგომის (უფლებამოსილების შეწყვეტის) თაობაზე განცხადება 2 დღის ვადაში არ დაკმაყოფილდა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თანამდებობიდან გადამდგარად ჩაითვლება, ხოლო საარჩევნო კომისიის წევრს კი უფლებამოსილება შეუწყდება ამ ვადის გასვლის მომდევნო დღიდან.

13. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება კომისიაში მისი შემცვლელი წევრის არჩევისთანავე.

14. ცესკოს თავმჯდომარის გადადგომის (გადაყენების) ან ცესკოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე უნდა ეცნობოს სტუდენტურ თვითმმართველობას.

მუხლი 13. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ცნობა და პირველი სხდომა

1. ცესკოს უფლებამოსილების ვადა იწყება საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღიდან და წყდება ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე.

2. ცესკოს პირველი შეკრება იმართება კენჭისყრამდე არაუგვიანეს **30 დღისა**.

მუხლი 14. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი

1. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მდივანი.

3. საარჩევნო კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს შესაბამისი კომისია. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის მოთხოვნით მოიწვევა რიგგარეშე სხდომა.

4. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

5. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

6. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

7. საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი. ამასთან, განსხვავებული აზრის მქონე წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მას არ აქვს უფლება თავისი ქმედებით ხელი შეუშალოს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

7. საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემასა და რეგისტრაციას ახორციელებს სპეციალურ ჟურნალში (ზონარგაყრილი, დანომრილი და დამოწმებული ბსუ-ს კანცელარიის ბეჭდით), დღის 10 საათიდან 17 საათამდე.

8. განცხადების (საჩივრის) მიღებისას საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალსა და განმცხადებლისთვის (მომჩივნისთვის) გადაცემულ ცნობაში აღინიშნება მისი მიღების თარიღი. კომისია განიხილავს განცხადებას (საჩივარს) და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

9. კომისიის მიერ გაცემული საბუთის მიღებას განმცხადებელი ადასტურებს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.

10. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება (საჩივარი), თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

მუხლი 15. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

1. ცესკო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს არჩევნების გამოცხადებას, მის გამართვას;

ბ) აკონტროლებს ამ დებულების შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას;

გ) თუ შეუძლებელი გახდა ამ დებულებით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება და ვადების დაცვა, უფლებამოსილია განკარგულებით განსაზღვროს საარჩევნო ღონისძიებები და მათი ვადები;

გ) თუ საუბნო საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს დებულებით დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას, და შექმნას ახალი საუბნო კომისია;

დ) უზრუნველყოფს საარჩევნო დოკუმენტაციითა და ინვენტარით (ყუთი და კაბინა) საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

ე) ამ დებულებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს;

ვ) ადგენს ამ დებულებით განსაზღვრულ საარჩევნო ვადებს;

ზ) განცხადების (საჩივრის) საფუძველზე ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ. საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნის, საარჩევნო ბიულეტენების და ამომრჩეველთა სიების გადამოწმების შესახებ;

თ) ანიჭებს დამკვირვებლის სტატუსს;

ი) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოქვეყნებასა (საჯაროობას);

კ) განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

ლ) ადგენს ამომრჩეველთა ერთიან სიას, ახდენს მის კომპიუტერულ დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებას;

მ) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

1. ცესკოს ყველა განკარგულება ქვეყნდება **ბსუ-ს ვებ-გვერდზე,** ბსუ-ს ადმინისტრაციისათვის მიმართვის გზით და შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც.
2. ცესკო უფლებამოსილია ბსუ-ს ადმინისტრაციას მიმართოს წინადადებით საარჩევნო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურების თაობაზე.

მუხლი 16. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები

1. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტებია:

ა) ცესკოს განკარგულება;

ბ) ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება;

გ) ცესკოს მდივნის განკარგულება;

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება;

ე) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.

2. საარჩევნო კომისიის, თავმჯდომარისა და მდივნის განკარგულება არის ინდივიდუალური აქტი, რომელიც მიიღება და გამოიცემა ამ დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საარჩევნო კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, ხოლო სხვა განკარგულებას ხელს აწერს მისი გამომცემი პირი. კომისიის განკარგულება მიღებულად

ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

3. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტების შესრულება სავალდებულოა.

4. სარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების შედეგების დამტკიცებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, საარჩევნო დოკუმენტაციას და სარეგისტრაციო ჟურნალებს გადასცემს შესანახად ბსუ-ს კანცელარიას (არქივს) მღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 17. საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნა

1. საუბნო საარჩევნო კომისიათა რაოდენობა შეესაბამება საარჩევნო უბნების რაოდენობას.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საუბნო კომისიის წევრთა **(7 წევრი)** შემადგენლობა განისაზღვრება ცესკოს განკარგულებით, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

3. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი უნდა იყოს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირი და არ უნდა იყოს იმ ფაკულტეტზე დარეგისტრირებული კანდიდატი, რომლის საუბნო კომისიის წევრია.

მუხლი 18. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

1. საუბნო საარჩევნო კომისია არის საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ორგანო, რომელიც იქმნება ამ დებულების განსახორციელებლად.

2. საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს (თამვჯდომარე და მდივანი).

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, ამ დებულების შესრულებას, კენჭისყრის პროცედურის დაცვას, სტუდენტთა და დამკვირვებელთა გარანტირებული უფლებების გამოყენებასა და დაცვას;

გ) ადგენს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო უბანში და განკარგულებით ამტკიცებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს;

დ) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის 2/3 (ორი მესამედის) უმრავლესობით ზემდგომი საარჩევნო კომისიის წინაშე დასვას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საკითხი;

ე) პასუხისმგებელია საარჩევნო უბანში ამ დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის გამოკვრაზე, იმ ადგილის სათანადოდ მომზადებისთვის, სადაც იმართება კენჭისყრა და ბიულეტენების დათვლა; უზრუნველყოფს საარჩევნო უბანში წესრიგის დაცვას;

ვ) განიხილავს საარჩევნო პროცესთან და კენჭისყრის მომზადებასთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

ზ) უზრუნველყოფს ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებების უპირობო განხორციელებას კენჭისყრის დღეს;

თ) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

3. საუბნო საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის ყველა განკარგულება მეორე დღესვე გამოიკვრება საარჩევნო უბანზე.

მუხლი 19. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის უფლებამოსილება

1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საუბნო საარჩევნო კომისიაში;

ბ) უძღვება საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას;

გ) პირადად აგებს პასუხს საარჩევნო ბიულეტენების, კომისიის ბეჭდების, შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა საარჩევნო საბუთების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის;

დ) აძლევს დავალებებს კომისიის მდივანსა და კომისიის სხვა წევრებს;

ე) კენჭისყრის დღეს ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა შორის ფუნქციათა წილისყრით განაწილებას;

ვ) პასუხისმგებელია კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის ოთახსა და მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე;

ზ) კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე ზემდგომ საარჩევნო კომისიას გადასცემს ყველა საარჩევნო საბუთს;

თ) პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;

ი) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ასრულებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება.

3. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი:

ა) ამზადებს კომისიის განკარგულებათა პროექტებს;

ბ) ადგენს საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმებს, მათ შორის, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს;

გ) იღებს და ახარისხებს საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;

დ) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვ აუფლებამოსილებას.

თავი V - სუბიექტთა რეგისტრაცია

მუხლი 20. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია და ამომრჩეველი

1. ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ბსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს ბსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურიდან, გარდა სტატუსშეჩერებული პირებისა.
2. საარჩევნო სუბიექტმა – აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო პროგრამების ან მაგისტრატურის და დოქტურანტურის სტუდენტმა, რეგისტრაცია უნდა გაიაროს ცესკოში.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია ცესკოში მიმდინარეობს ფაკულტეტების მიხედვით.
4. კანდიდატმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის გასავლელად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) სტუდენტის ცნობა შესაბამისი ფაკულტეტიდან;

თავი VI - კენჭისყრა

მუხლი 21. კენჭისყრის დრო და ადგილი

1. კენჭისყრა იმართება სალექციო კვირის დღეს. საუბნო საარჩევნო კომისია იხსნება დილის 9.30 საათზე. კენჭისყრა იწყება დილის 10 საათზე და სრულდება საღამოს 17.00 საათზე.

2. კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის ოთახის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა. კენჭისყრის ოთახის დროებით ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების (ისევე, როგორც შემდგომ კენჭისყრის ოთახის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების) გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის.

3. კენჭისყრის ოთახის დროებით ჩაკეტვისა თუ კენჭისყრის შეჩერებისთანავე საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია დაადასტუროს ან გააუქმოს კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კომისია უფლებამოსილია კენჭისყრის შეჩერების შემდეგ მიიღოს კენჭისყრის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღება განკარგულებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს კენჭისყრის ოთახის დროებითი ჩაკეტვის, კენჭისყრის შეჩერების ან მისი შეწყვეტის მიზეზი და დრო. ოთახის ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით იღება კენჭისყრის ოთახი და განახლდება კენჭისყრა.

4. ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

მუხლი 22. კენჭისყრის ოთახის მოწყობა

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ოთახებსა და ინვენტარს სარგებლობაში გადასცემს ცესკოს.

2. უნივერსიტეტის მიერ კენჭისყრის ჩასატარებლად გამოყოფილი ოთახების ვარგისიანობაზე სათანადო გადაწყვეტილებას იღებს ცესკო. ცესკოს კენჭისყრის ოთახის გამოყოფის თაობაზე მიმართავს ბსუ-ს ადმინისტრაციას არჩევნებამდე 10 კალენდარული დღით ადრე;

3. კენჭისყრის ოთახში:

ა) ფარული კენჭისყრისთვის უნდა მოეწყოს კაბინები. რაოდენობას და ფორმას განსაზღვრავს საუბნო საარჩევნო კომისია.

ბ) უნდა გამოიყოს ადგილები ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო ბიულეტენების დამოწმებისთვის;

გ) თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგეს საარჩევნო ყუთი;

დ) თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ამომრჩეველთა და კანდიდატთა სიები.

4. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას კენჭისყრის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.

5. პასუხისმგებლობა კენჭისყრის მომზადების, ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფისა და კენჭისყრის ოთახის ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად მოწყობისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

მუხლი 23. საარჩევნო ბიულეტენი

1. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ცესკოს განკარგულების საფუძველზე, მის მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით, ქართულ ენაზე.

2. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ცესკოს მიერ.

3. საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის პირადად აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

4. ცესკო საარჩევნო ბიულეტენებს კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 დღისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს.

5. საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა ზუსტად აღირიცხება. ცესკოს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის ბიულეტენების გადაცემისას ორ ეგზემპლარად დგება აქტი, რომელშიც აღინიშნება მათი გადამცემი და მიმღები კომისიების დასახელება, ბიულეტენთა სახეობა, მათი გამცემი და მიმღები პირების ვინაობა. აქტს ხელსაწერენ ამ საბუთების გამცემი და მიმღები პირები (აქტის ერთი ეგზემპლარი რჩება ბიულეტენების გადამცემ კომისიაში, ხოლო მეორე კი გადაეცემა ბიულეტენების მიმღებ კომისიას). საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, რომელსაც გადაეცემა ბიულეტენები ვალდებულია მოითხოვოს მიღება-ჩაბარების აქტის ერთი ეგზემპლარი შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის გადასაცემად. მიღება-ჩაბარების აქტი საჯარო ინფორმაციაა.

6. საარჩევნო ბიულეტენზე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) არჩევნების დასახელება და არჩევნების ჩატარების თარიღი;

ბ) ფაკულტეტის დასახელება;

გ) შესაბამისი განათლების საფეხური;

გ) საარჩევნო უბნის ნომერი (ბიულეტენის ყუასა ან საკუთრივ საარჩევნო ბიულეტენზე);

დ) საარჩევნო სუბიექტის სახელი და გვარი;

7. საარჩევნო სუბიექტის არჩევნებიდან მოხსნის (კანდიდატის მიერ რეგისტრაციის გაუქმება ან სხვა) შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში, სუბიექტის სახელის გასწვრივ მიეთითება – „არჩევნებიდან მოხსნილია".

8. საარჩევნო ბიულეტენი წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას. კენჭისყრის დღეს აკრძალულიაკ ენჭისყრის შენობიდან მისი გატანა ან განადგურება.

მუხლი 24. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები

1. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები აისახება საუბნო საარჩევნო კომისიისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

2. შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი აქტი. ოქმის ყველა ეგზემპლარს ერთნაირი ძალა აქვს.

3. აკრძალულია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება. ასეთი ოქმი ბათილია. თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა, მის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმში, შესაბამისი მონაცემის გასწვრივ, მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია" და საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც აღინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის შესწორება და ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო. ამ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება სხდომას, ოქმს დაესმება კომისიის ბეჭედი, გატარდება კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში და დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც შეტანილი მონაცემები იქნა შესწორებული.

4. საარჩევნო კომისიაში ოქმების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის პირადად აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

5. ცესკო, საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

მუხლი 25. საარჩევნო უბნის გახსნა

1. **საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 9:30 საათზე, ხოლო კენჭისყრა იწყება 10:00 საათზე.** უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოავლენს (წილისყრაში არ მონაწილეობს კომისიის თავმჯდომარე):

ა) კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი კომისიის წევრს;

ბ) ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს;

გ) ყუთზე ზედამხედველს;

დ) ბიულეტენზე (უკან გვერდზე) ხელმომწერი კომისიის წევრებს.

2. წილისყრის ჩატარებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთნაირ ფურცლებზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს კომისიის წევრთა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ფუნქციებს. ფურცელი უნდა დამოწმდეს კომისიის ბეჭდით. ფურცელი იმგვარად იკეცება, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა. კომისიის ბეჭდით დამოწმებულ ფურცლებს კომისიის თავმჯდომარე დებს მაგიდაზე და ურევს მათ. შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის ტოლი უნდა იყოს. წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ თითო ფურცელს.

3. წილისყრის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას და აცხადებს მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ მონაცემები საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში;

5. საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პირველი ამომრჩევლის მისვლის შემდეგ მასში საკონტროლო ფურცელს აგდებს. საკონტროლო ფურცელი ივსება ორ ცალად და მათ ხელსაწერენ პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკონტროლო ფურცლებზე აღინიშნება საარჩევნო ყუთებში მათი ჩაგდების ზუსტი დრო და პირველი ამომრჩევლის გვარი, სახელი, აკადემიური მოსწრების წიგნაკის ნომერი. საკონტროლო ფურცლის ერთი ეგზემპლარი ინახება საუბნო საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო ყუთების გახსნის შემდეგ მასში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შედარების მიზნით.

6. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შედარების მიზნით ინახავს და პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახული საკონტროლო ფურცლის დაცვასა და ნამდვილობაზე.

მუხლი 26. საარჩევნო ბიულეტენის გაცემა

1. საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენს (ბიულეტენებსა) გასცემს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

2. კენჭისყრის დღეს ყოველ ამომრჩეველზე გაიცემა ერთი საარჩევნო ბიულეტენი.

3. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

მუხლი 27. ხმის მიცემის პროცედურა

1. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.
2. ხმის მიცემა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის (კანდიდატებისათვის) ხორციელდება ცალ-ცალკე და ფაკულტეტების მიხედვით.
3. მის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანმიმდევრობის დაცვით:

ა) თუ სტუდენტი არის ამომერჩეველთა ერთიან სიაში, მას მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელმა კომისიის წევრმა კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან სამზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება;

ბ) კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება და რეგისტრატორს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს;

გ) რეგისტრატორი ამომრჩევლის სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ხელისმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის გაცემას, ხელსაწერს ბიულეტენის უკანა გვერდზე;

დ) ბიულეტენის მიღების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს საარჩევნო ბიულეტენს ამ დებულების შესაბამისად დადგენილი წესით. ბიულეტენის შევსების შემდეგ ამომრჩეველმა ის ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

ე) შემდგომ ამომრჩეველი იღებს კონვერტს ათავსებს ბიულეტენს მასში, აგდებს საარჩევნო ყუთში და ტოვებს კენჭისყრის ოთახს;

ვ) საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ორზე მეტი ამომრჩევლის მისვლა იკრძალება;

ზ) საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთზე ზედამხედველი კომისიის წევრი. მას დახურული უნდა ჰქონდეს ბიულეტენის ჩასაგდები ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი ბიულეტენი აქვს;

თ) კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩასაგდები ჭრილი.

3. თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მანამ ამის შესახებ უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, წაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.

4. თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.

5. კენჭისყრის ოთახი იკეტება 17:00 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავს რიგში მდგომი ამომრჩევლების გვარსა და სახელს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიას, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს.

მუხლი 28. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვა

1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის.

3. დაუშვებელია კენჭისყრის ოთახში შეიარაღებულ პირთა შესვლა.

4. თუ კენჭისყრის ოთახში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლები ან სამართალდამცავის ორგანოების თანამშრომლები, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის ოთახს.

მუხლი 29. საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები

1. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით წილისყრის მონაწილე კომისიის წევრებისგან წილისყრით შეარჩევს არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს ორ მეთვალყურეს (თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდნენ, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე).

2. მთვლელები თანმიმდევრულად ითვლიან ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას. შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში.

3. მთვლელები შემდეგი თანმიმდევრობით ითვლიან და პაკეტებად კრავენ:

ა) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს, რომელთა რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში. პაკეტზე იწერება გამოუყენებელ ბიულეტენთა რაოდენობა;

ბ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს, რომელთა რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში,პაკეტზე იწერება გაფუჭებულ ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობა.

4. თითოეულ პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება, ოლქის დასახელება და ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.

5. პაკეტები უნდა დაილუქოს და მათ ხელი უნდა მოაწერონ მთვლელებმა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.

მუხლი 30. საარჩევნო ყუთის გახსნა

1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას.

2. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება და დალუქული საარჩევნო ყუთი დაუყოვნებლივ გადაეცემა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

3. მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთი და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ერთი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირები. ამ მთვლელების გვერდით დგება დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე.

4. მთვლელები საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ბიულეტენებს ათავსებენ განცალკევებით მდგომ მაგიდაზე, ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და ადარებენ მას საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს. თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საარჩევნო კომისიას. თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, მთვლელები საარჩევნო ყუთიდან გადმოყრიან საარჩევნო ბიულეტენებს და იწყებენ დათვლას.

მუხლი 31. ხმის დათვლა

1. საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებს ითვლის შემდეგი წესის დაცვით:
   ა) დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ერთი მეთვალყურე დგება პირველ მთვლელთან, ხოლო მეორე მეთვალყურე მეორე მთვლელთან. მათ უფლება აქვთ დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება, ხოლო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გაასაჩივრონ საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ მიუთითონ მთვლელს, ცალკე გადადოს ის საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული. მთვლელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

2. დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:
   ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერით;
   ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტებს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
   გ) საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისათვის.
   დ) ამომრჩეველს ხმა აქვს მიცემული 1-ზე კანდიდატისათვის.

3. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები და მათ ეწერება „ბათილია", რასაც ხელს აწერენ მთვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ეს ბიულეტენები პაკეტად იკვრება და მათ რაოდენობას საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი დაუყოვნებლივ აღნიშნავს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, სხვა საარჩევნო უბნისათვის განკუთვნილი ბათილი ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკვრება

4. მეორე მთვლელი აცხადებს (ახდენს ბიულეტენის დემონსტრირებას), თუ რომელი კანდიდატებისთვისაა მიცემული ხმა, ხოლო მესამე მთვლელი ახდენს საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა ტაბულაციას, რის საფუძველზეც ითვლება თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა. ამის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენები იკვრება ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღწერილი წესით. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს შესაბამის შემაჯამებელ ოქმში.

5. საარჩევნო ბიულეტენების ყოველი პაკეტი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეკვრას უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე და რაოდენობა.

მუხლი 32. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

1. ამ დებულების პროცედურების დასრულების შემდეგ კომისიის მდივანი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, რომელთაგან ერთს გადასცემს ცესკოს,ხოლო მეორეს აკრავს საარჩევნო უბანთან თვალსაჩინო ადგილას.

2. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

ა) საარჩევნო უბნის დასახელება და საარჩევნო უბნის ნომერი;

ბ) არჩევნების დასახელება;

გ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა;

დ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);

ზ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ვ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ე) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

მ) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;

ნ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს უკანა გვერდზე და ხელს აწერს მას);

ო) რეგისტრაციის თარიღი და დრო (აღინიშნება ოქმის გაცემისას);

3. საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანში. ოქმი უნდა დამოწმდეს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

4. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

5. განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

6. ცესკოსთვის განკუთვნილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით) ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა სიების დალუქულ პაკეტთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

7. შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ცესკო გასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ასლს, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ცესკოს ბეჭდითა და ცესკოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით.

8. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან ერთად ცესკოს ეგზავნება ამომრჩეველთა სიები კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერებით. თავის მხრივ, აღნიშნულ სიებს ცესკო გადასცემს სტუდენტურ თვითმმართველობას, რომელიც ახარისხებს მათ და ინახავს არქივში.

9. საარჩევნო უბანში ფორმდება შესაბამისი შემაჯამებელი ოქმები.

მუხლი 33. განცხადებები და საჩივრები კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე

1. განცხადება (საჩივარი) საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ შედგენილი უნდა იქნეს ამ დებულების დარღვევის შემთხვევაში;

2. განცხადებაში (საჩივარში) აღინიშნება:

ა) განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;

ბ) განმცხადებლის (მომჩივნის) სახელი, გვარი;

გ) საარჩევნო უბნის ნომერი;

დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;

ე) მოწმის არსებობის შემთხვევაში, მისი სახელი, გვარი და ფაკულტეტი;

ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში, მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;

ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.

3. განცხადება (საჩივარი) კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ უნდა გადაეცეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან კომისიის მდივანს, რომელიც დაარეგისტრირებს მას სარეგისტრაციო ჟურნალში, ხოლო განმცხადებელს გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების (საჩივრის) კომისიაში მიღების თარიღი და დრო.

4. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე (საჩივარზე) და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. თუ კომისიის თავმჯდომარემ არ ან ვერ აღმოფხვრა დარღვევა ან უარი განაცხადა განცხადებაზე (საჩივარზე) რეაგირებაზე, განმცხადებელს (მომჩივანს), ასევე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს, უფლება აქვს ანალოგიური განცხადება (საჩივარი) დაუყოვნებლივ წარუდგინოს ცესკოს, ან შეიტანოს შესაბამისი საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალში გამოყოფილ სპეციალურ გვერდზე.

5. განცხადება (საჩივარი) ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღის 18 საათამდე და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;

ბ) განმცხადებლის (მომჩივნის) გვარი, სახელი;

გ) საარჩევნო უბნის ნომერი;

დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;

ე) არსებობის შემთხვევაში მოწმის გვარი, სახელი, ფაკულტეტი ან რეგისტრაციის ადგილი;

ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;

ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება;

თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული განცხადება (საჩივარი) საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება სარეგისტრაციო ჟურნალში და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გადაეცემა ზემდგომ საარჩევნო კომისიას კენჭისყრის მომდევნო დღის 18 საათამდე. განცხადება (საჩივარი) ამავე ვადაში შეიძლება გადაეცეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ.

7. საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალი იხურება კომისიის მდივნისა და კომისიის წევრთა ხელმოწერით და მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

8. საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალი და შემოსული განცხადებები (საჩივრები) ილუქება ცალ-ცალკე და იკვრება ერთ პაკეტად.

9. საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი ილუქება ცალკე პაკეტში. პაკეტს ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის სხვა წევრები.

მუხლი 34. ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული განცხადების (საჩივრის) განხილვა

ამ დებულების 33-ე მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული განცხადება (საჩივარი) ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიღებისთანავე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჟურნალში. კომისია მას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადების (საჩივრის) რეგისტრაციიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა.

მუხლი 35. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება-დადგენა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

1. ცესკო საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, ამ დებულების დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა აჯამებს არჩევნების შედეგებს, ადგენს უნივერსიტეტის თვითმართველობის არჩევნების შედეგებს ფაკულტეტების მიხედვით და ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

2. აკრძალულია ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება საარჩევნო დავების დასრულებამდე და მიღებული გადაწყვეტილებების სრულად გათვალისწინების გარეშე.

3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ფაკულტეტის ერთი სტუდენტი მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში ცესკო უზრუნველყოფს ხელახალი არჩევნების ჩატარებას არჩევნების ჩაშლილად გამოცხადებიდან ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

4. ცესკო არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

ა) საარჩევნო უბნის დასახელება და საარჩევნო უბნის ნომერი;

ბ) არჩევნების დასახელება;

გ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა;

დ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);

ზ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ვ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ე) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

მ) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;

ნ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს უკანა გვერდზე და ხელს აწერს მას);

ო) რეგისტრაციის თარიღი და დრო (აღინიშნება ოქმის გაცემისას);

5. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება ამ მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი მონაცემები, ასევე არჩეული პირის (არჩეულპირთა) ვინაობა.

6. თუ ცესკომ ბათილად ცნო კენჭისყრის შედეგები საარჩევნო ოლქში/ოლქებში ამ ოლქში (ოლქებში) იმართება განმეორებითი კენჭისყრა.

7. ცესკოს ყველა წევრი, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის (არჩევნების) შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ოქმი დამოწმდება ცესკოს ბეჭდით.

8. თუ ცესკოს წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმში აღნიშნოს, რას არ ეთანხმება, და ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

9. ცესკოს მდივანს ამ მუხლში აღნიშნული მონაცემები მათი დადგენისთანავე შეაქვს ცესკოში თვალსაჩინო და ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

10. ცესკო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლს (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), რომელიც დამოწმებულ უნდა იქნეს ცესკოს ბეჭდითა და ცესკოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით, აგრეთვე ცესკოს განკარგულებებს საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებების შეტანის შესახებ (თუ ასეთი ცვლილებები იქნა შეტანილი) დაუყოვნებლივ გადასცემს სტუდენტურ თვითმმართველობას, ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით.

11. კენჭისყიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) კალენდარული დღის ვადაში ცესკო ბსუ-ის ადმინისტრაციას წარუდგენს ინფორმაციას არჩევნების შედეგების შესახებ.

12. სათანადო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ცესკო გადასცემს საარჩევნო სუბიექტებს, მათ წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლს, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნეს ცესკოს ბეჭდითა და კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით.

თავი VII - არჩევნების საჯაროობა და აგიტაცია

მუხლი 36. დამკვირვებლები

1. არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დებულებით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

2. ორგანიზაცია, რომელსაც სურს ბსუ-ის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებზე დაკვირვება, შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კავშირი ან ფონდი, რომლის წესდება რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან ადამიანის უფლებების დაცვას ან ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში.

3. დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის – დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს კონკრეტულ საარჩევნო უბანში ჰყავდეს არაუმეტეს ერთი დამკვირვებლისა.

4. დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან.

მუხლი 37. დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

1. რეგისტრაციაში გატარების მიზნით დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს არჩევნების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ ფაკულტეტების დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში გადაწყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.

2. საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

3. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ცესკოსა და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია.

4. საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია, დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს.

5. დამკვირვებლის მოწმობაში მითითებული უნდა იყოს:

ა) დამკვირვებლის გვარი, სახელი;

ბ) წარმდგენი ორგანიზაციის სახელწოდება;

გ) იმ ფაკულტეტის დასახელება (დასახელებები), სადაც უნდა განახორციელოს დაკვირვება.

მუხლი 38. დამკვირვებლის უფლებები

1. დამკვირვებელს უფლება აქვს:

ა) დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;

ბ) კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის ოთახში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;

გ) კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს თავისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;

ე) დააკვირდეს ამომრჩეველთა საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემას პროცესისათვის ხელშეუშლელად;

ვ) დაესწროს ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;

ზ) დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რომელშიც შესაძლებელი იქნება საარჩევნო ბიულეტენის დანახვა;

თ) დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;

ი) განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე და კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მოითხოვოს მათზე რეაგირება;

კ) მოსთხოვოს ამომრჩეველს უჩვენოს, თუ რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში;

ლ) გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის ქმედებაზე მდგომ საარჩევნო კომისიაში;

მ) დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლასა და ოქმების შედგენას;

ნ) გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს

.

2. დამკვირვებელს არა აქვს უფლება:

ა) ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;

ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;

გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;

დ) ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;

ე) დაარღვიოს ამ დებულების სხვა მოთხოვნები.

მუხლი 39. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. სტუდენტურ თვითმმართველობაში ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

2. კენჭისყრის დღეს აგიტაცია აკრძალულია;

3. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ფაკულტეტისა მომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელისშეშლა და ჩამორთმევა.

4. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს უარი უთხრას სტუდენტებს წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოებისას აუდიტორიებითა და დარბაზებით სარგებლობაზე, თუ ამით ხელი არ ეშლება სასწავლო პროცესს,

6. ბსუ-ის ადმინისტრაცია ვალდებულია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში არჩევნების ნორმალურად ჩატარებას.

თავი VIII

დასკვითი დებულებანი

მუხლი 11. დებულების მიღება, ცვლილებები და დამატებები და ძალაში შესვლა

1. სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო დებულება მტკიცდება სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებაზე, ხმათა უმრავლესობით.
2. შესაძლებელია თვითმართველობის საარჩევნო დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა სტუდენტური თვითმართველობის მართვის ორგანოების, პრეზიდენტის ან წევრთა 1/3-ის ინიციატივით.
3. **წინამდებარე დებულება ძალაშია 2017 წლის 14 თებერვლიდან.**

სტუდენტური თვითმმართველობის
პრეზიდენტი

ბ. მაკარაძე